

140
1956/3

საბავშვო
გაზეთი



ს. ნ. გ. ე. კ. ი.

№ 6
ივნისი
1956

VII კლ.



გაბრცდვბის წის

ნახტი რ. მუხიარისა



საბარტველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
ქოველთიური საბავშვო შუიწალი



6943

ნან. რ. ცუციქოიძისა

ს ი მ ლ ე რ ა

ზაფხულია, ცხელა,
ხეთა შირალს ვისმენთ.
გოგი, მზია, გელა
მიეიჩქარით მთისკენ.

ცხრა მთა გადავლახეთ,
მთები არის კიდევ,
ამ დალოცვილ მხარეს
ვერ ვუნახეთ კიდევ.


აქ ჯეჯილი ღელაგს,
უხარია ხეხილს.
გოგი, მზია, გელა
მიეიჩქარით ფეხით.

მერცხალმა ცა აჭრა,
ხბოები წყალს სვამენ,
აქეთ არის რაჭა,
იქით ვხედავთ სვანეთს.

მზე გვიჰყვითავს თვალებს,
მეგვისნია ფრთები,
მშობლიური მხარე,
მშობლიური მთები...

გზები გადავლახეთ,
გზები არის კიდევ.
ამ დალოცვილ მხარეს
არსად უჩანს კიდევ.

ჯანსუღ ჩარკვიანი





ს. იორამაშვილი

ნახ. კ. მახარაძისა

„პირატი“*

თურმე, ჩვენ რომ ყაზბეგისაკენ წავედით, მეცხვარეებმა თავიანთ ცხვრის ფარას მიაშურეს და ძაღლს დაუძახეს, მაგრამ არა გეტყვიანოთ-რა, იმათ ის აღარ წაპყლია. მერე თურმე ფეხმოტეხილი ცხვრის პატრონები მოსულან, რომ ცხვარი წაეყვანათ, მაგრამ არც ისინი გაუყარებია სიახლოვეს. ჯერა ჰგონებიათ, არც მაინცადამაინც დიდ წინააღმდეგობას იკავებდნენ. სიცილი და უწყაით და უთქვამთ: კარგი ამბავი იქნება ახლა, მართლა ცხვარი თუ არ დავგანებთ, და თავიანთი ჩომბახების იმედით ახლოს მოსულან. ერთი რამდენიმეჯერ კაი გვარაიანდაც უთაქებიათ, მაგრამ ძაღლი პირდაპირ შეჭბმით და ცოცხალს თავით ცხვარი არ დაუტნებია. ცხადია, ამის შემდეგ მეცხვარეები ძაღლს არ მოჰყავდნენ. თვითონ თავიანთ ფარებთან წასულან და ის პატარა ბიჭი მიუყენებიათ.

პატარამ ისიც იცვამბო, თურმე ძაღლს როცა ვერაფერი მოუხერხეს, მეზობელი ცხვრის ფარიდან ქოფაკები დაუსიეს, იქნებ იმათ გამოჰყვეს საჩხუბრად და ცხვარი წაეკრათათო, მაგრამ „პი-

რატმა“ რომელსაც კი გაჰკრა კბილი, თურმე სულ შოკობით შემოიფანტა აქეთ-იქით.

კიდევ ყისმათი, რომ იმათაც კისრებზე ჩანგლები ებათ, თორემ ბარე რა ძაღლს გაჰკლავდა. მგლებს ეგ ძაღლი ისე ახრჩობს, როგორც კატებსო, დააბოლოვა პატარა ბიჭმა და მახლობელ ფერდობისაკენ გაიქცა მეცხვარეების დასახებულად.

რა, საოცრებააო! — აღმოხდა მამაჩემს და მერე ჩვენ მოგვიბურუნდა: ხედავთ? რეები ჩაუღენია ჩვენს „პირატს!“ ახლა მაგის აქ დატოვებ შეიძლება?! მართლაც, ათი ცხვრის ნაფასური რომ დამაკისრონ, გადახედელი ვარ. არავითარ შემთხვევაში ძაღლს აქ არ დავტოვებო. თან თამარს გადახედა, რომელიც თვალმგაბრწყინებული შეჭყურებლა მამას.

როგორც აღრევე ვთქვი, დედაჩემს „პირატი“ თავიდანვე არა ჰყვარებია და სულ იმას იბძღვანებავი რა ეშმაკად გინდათ, რომელი თხამცხვრის პატრონები თქვენა მყავხართ, ავოღენა ვირგლა ძაღლს რომ დააბლავუნებთ ეხოში და სამი კაცის საქმელი არა ჰყოფნისო. მაგრამ ახლა იმ ძაღლის სასწაულომოქმედი ერთგულება რომ თავისი საკუთარი თვლითა ნახა, კალათიდან ნა-

* დახასრული. იხ. „პიონერი“ № 5.



ხევარ კილო და მძღვე ძხვის ნაქერი ამოიღო და „პირატს“ დასაბინძლა შემდეგი სიტყვებით: „აჰა, დიდი ხალია შენზე! ნეტავ შენნაირი ერთგული ბეჭა მისცა ჩემს ქმარ-მეილს, რომ მათთვისაც ბეჭერი დაგინანო!

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, ერთ-ერთი იმ მეცხვარეთაგანი წამოგადგა თავს, რომელსაც „პირატი“ ეყიღნა თინვალში, და იგივე პატარა ბიჭი მოჰყვა კოჭლი ცხვრის წასაყვანად.

რაკი ჩვენი მორიგება იქ აღარ შეიძლებოდა და, ძალიანაც რომ მოგვეწოდებინა, არც ძაღლი ღარჩებოდა იმათთან, ჩავსვით ის მეცხვარე „პირატი“ მე და ოთარმა უკან, თამარი და დედა კი წინ მამაჩემს მოუსხდნენ გვერდით და წამოვედით ფასანაურში.

გზაში ბევრი რამ გვიამბო ქავთარმა — ასე ერქვა იმ მეცხვარეს — ჭოღრად მინათლული „პირატი“ შესახებ.

— ძვირფასი ოთხფეხია ჭოღრა. მაგის ხმას ამ მთებში ნადირი იგრე ცნობს, რომ ახლო აღარ გვეყარება. რაც ეგ ჩვენთან არის, ერთი თიჯანიც არ დაგვევლება. ამ ზაფხულს, რაც ყიზლარიდან ამოვედით, სხუთი მგელი გაჰგულა. ერთი ცოცხლად დაგვეჭერინა. ყურში რომ ჩავვლო კბილი, ქანჩივით გამოსანგა. მემერე კომბლებით მოვკაპოთი, ისე, რომ სანამ ძირს არ დაეცა და მოძრაობა არ შეწყვიტა, ჭოღრას პირი არ გაუშვია მისთვის და დასარტყმელად გვიმარჯვებდა. — გვიყვებოდა ქავთარი.

ძაღლი კი ამ დროს ყველას თვლებში შემოგვეჭქურადა, თითქოს მიმხედარი იყო, რომ ლაპარაკი მას შეუხებოდა და კაცს ეგონებოდა აი, ახლავე საუბარში ჩაერევა და რამეს იტყვისო.

ისე გავერთეთ ქავთარის ნაამბობით, რომ ვერც კი გავივით, როგორ ჩამოვედით ფასანაურში.

ძალიან უმეხნად შეგვხვდა ფერმის გამგე — გელა ვერძელა. მამაჩემისათვის ხეირიანად არც კი შეუხებდას სახეში. თითქოს ამით იმის თქმა უნდოდა. — ვინა ხარ, საიდან მოსულხარ, შენთან რა მესაქმებია, და თავის მწყემსს დაუწყუო ნაძალადეგად გამოხებული სხით ქუთის სწავლება:

— ქავთარი! აბა რა უნდა გელაპარაკო! ახლა რომ კაცო ცხორის თავს დაანებებეს, მეფარსაც მოაცილებს და „პობედით“ დასეირნობს, იმას რა ქუთა უნდა ვკითხო! რა უყუთ მერე რომ იცნო. შენ ხომ თავად იყიდე ეგ ძაღლი, და ვისაც ეს არა სჯერა, წავიდეს და იჩივლოს.

— ძაღლი მომპარეს და ქურდებს ამისათვის მიუყიდნიათ, ამხანაგო! — ჩაუთრო მამაჩემმა თავშეკავებით.

— ეგ ჩვენი საქმე სრულებით არ არის, შენი

კენსაჲ. რაში გვეკრებდა ვარკვიით მგ ძაღლი? სულ პირველი პატრონი ვინ იყო... ჩვენი ამის მოწყვებით გეყავს, რომ ქავთარმა ერთ ხევარ მისცა და იყიდა. მეტი არაფერი გვეკრებდა.

— მაგის გულისათვის პასუხისგებაში მძღვედა შენი კენესაჲ, — განუმარტა მამაჩემს ქავთარმა. — მეფარში ცხორო რამ მიგაცემინაო.

— მჯერა, ამხანაგო ქავთარ, მჯერა, რომ ასე იქნებოდა. მხოლოდ ის მიეკვირს, რატომ შენს უფროსს მართლა არ მიუციხარ პასუხისგებაში. — კიდეგ ჩვეუროთ მამაჩემმა მწარედ და ამ ჩართულმა სიტყვამ გამოძახილი იმ წუთშივე ჰპოვა.

ვერძელს თუ აქამდე ისე ეჭირა თავი, თითქოს არც კი ამჩნევდა მამაჩემს, ახლა სიბრაზით ანთებული თვალები პირდაპირ მისკენ მიმართა და უხეშად უთხრა:

— ამხანაგო! თქვენ საშაროდ ხომ არ მოსულხართ აქ! ძაღლი გაგიყიდნია და ახლა უკანა თხოულობ? ვერ მოგართვით! სადაც გნებავდეს, წადი და იქ მიიხვიღ!

მამაჩემმა შეატყო, რომ ამ კაცთან ლაპარაკით არაფერი გამოვიდოდა და კოლმეურნობის თავმჯდომარე იკითხა, სად შეიძლება მისი ნახვა.

— თავმჯდომარე აქ არაფერე უშუაია, ამხანაგო! ძაღლი ფერმას ემსახურება და ფერმის გამგე მე ვარ. — ეს ისეთი რჩინთა თქვა ვერძელს, თითქოს ფრონტის სარდლობას კვეხულობსო.

— არა, რატომ, რამდენადაც ვიცო, ფერმაც და მისი გამგეც თავმჯდომარეს ემორჩილება. — უთხრა მამაჩემმა და მანქანისაკენ გაბრუნდა იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ, თუ არ ასწავლიდნენ, სად შეიძლებოდა თავმჯდომარის ნახვა, ძებნასაც აღარ დაუწყებდა.

მე და ოთარიც მანქანაში ჩავსხედით, საიდანაც „პირატი“ არც კი გადმოსულა, რომ თავის პატარა მეგობართან კიდეგ არ დაეცილებინათ.

მამა საჭესთან მოთავსდა. სანამ მანქანას დასძრავდა, ვერძელსა და ქავთარს რაღაცაზე შეეჩინათ გაცხარებული ღვა. მაგის გამგე ეუბნებოდა მეცხვარეს, ძაღლი გოდმოიყვანე მანქანადანო, მეცხვარე კი უმტკიცებდა — ძაღლი ხელს არ მახლებინებს და, თუ არ გჯერა, შენ თვითონ სცადეთ: ვერძელს კი დაქადნებული წამოვიდა ჩვენი სკენ.

მართლაც ვერძელმა ჯიქურად გამოაღო მანქანის უკანა კარი, უნდოდა დაემტკიცებინა ქავთარისათვის, რომ ძალზე აზვიადებდა ძაღლის ამბავს. მაგრამ მალე იძულებული გახდა კარი ისევ მიეხურა და ფერდკარგული უკან გადამხტარიყო.

„პირატი“ აღრევე გრძობდა, რომ მისი თამართან დაცვილება უნდოდათ და იმიტომ არ გადა-
მოდიოდა მანქანიდან, ხოლო ვერძეულმა რომ
მანქანის კარი გამოაღო, ძალი სიბრაზით ანთე-
ბული მივარდა და, კარი ისევ დროზე რომ არ და-
ეხურა, იქედ დღეს დააყენებდა დაუბატიებელ
გამგეს.

ვერძეულმა სცადა მუქარით წინ გადასდგომო-
და მანქანას, მაგრამ მამა უკვე გაბრაზებული
იყო და ისეთნაირად ააფეთქა მოტორი, რომ
დროზე რომ არ გასცლოდა ფერმის გამგე, უსა-
თუოდ გადათვლავდა.

— ადამიანური ლაპარაკი და მორიგება თუ არ
გინდათ, ახლა თქვენა მდიეთ! — უკანმოუხედავად
მიაძახა მამაჩემმა და ანანურისაკენ დავეშვი. დე-
დაჩემის შენიშვნაზე, როგორ შეიძლება ასე მო-
ქტევა, ეს რომ ძაღლის გატაცებააო, — მოთმინე-
ბიდან გამოსულმა მამამ უბასუხა:

— აბა, მამ, რა უნდა მექნა?! ან რა უნდა მი-
ყონ?! ბევრი-ბევრი, იმ ცხვრის ნათესური დამა-
კისროს კანონმა. იმას სხომ აქაც ვაძლევი და სა-
დაც მომთხოვენ, იქ მივცემ. არ ერჩიათ აღვი-
ლობრივ მომრიგებოდნენ?! ახლა მდიოთ! —
ამართლებდა მამაჩემი თავის მოქმედებას და,
მართლაც, სხვა გამოსავალი არცა გვქონდა. ორი
დღე იმათთან ღიჟინს მოვუწნდით და ვერაფერ

შედგეს კი ვერ მივაღწიეთ. ერთთავად ყველა-
ფერზე გაიძახოდნენ: „შენი კენესამე, შენი კენესამე“
მეო.

ყინვალში რომ ჩამოვედით, იქ ცოტა შეე-
ნაყრდით, მანქანა წესრიგში მოვიყვანეთ და, მზე
რომ გადაიწვერა, თბილისისაკენ წამოვედით. ის
იყო შემოჯარული მთებიდან სამხრეთისაკენ
ფართო ხეობაში უნდა დავმგებულყავით, რომ
უცხად მარცხნიდან ტორბელისაკენ გამოვარდა
ვილისი, ორასიოდ მეტრით რომ გაგვცდა, სკლა
შეანელა და გზაზე გარდიგარდმო გადაგვეღობა.


იძულებული გავხდით მანქანა შეგვეჩერებინა.
— ხედავ? დაგვედვენენ! — მითხრა მამამ და
თან დატანა: — აბა, ლევან! მეტიჩრობა არ და-
იწყო და უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაპ-
ყენო, ყველაფერს მე თვითონ მოვაგვარებ. —
ეს ისეთნაირად მითხრა მამამ, რომ უფრო იმასა
ჰგავდა, — ყოველი შემთხვევისათვის მოემ-
ზადეო.

მე მაშინ ოცი წელი მისრულდებოდა. ცხადია,
ხელჩართული ჩხუბი რომ ჩავარდნილიყო, უმოქ-
მელო მოწმედ არ დავრჩებოდი, ორი წლის გან-
მავლობაში კრივის სექციაში შესწავლილ ხელო-
ბას ალბათ პრაქტიკულად გამოვიყენებდი და მა-
მას მარტო არ მივატოვებდი. ოღონდ იქნებ იმათ
იარაღი აქვთ-მეთქი, გაიფიქრე უცებ და ხალთა-

ში ჩადებული ზაფერის სის-
ტემის სანადირო თოფს გა-
დავხედე, რომელიც მანქანის
საზურგეზე იდო. მაგრამ გახს-
ნა უკვე ცვიანლა იყო და ვინა-
ნე, რატომ მზად არა მაქვს-
მეთქი. მამაჩემმა შემატყო
რასაც ფიქრობდი იმ წამს და
სასატყად გამოაფრთხილა.


— ლევან! მე შენ
გითხარი! თოფს სელი არ ახ-
ლო, ეს სრულიად არ არის
საჭირო, ყველაფერს მე მოვა-
გვარებ...

„ვილისიდან“ სამი კაცი
გაღმოვიდა: ვერძეული, ქა-
თარი და მესამეც უცნობი,
რომელიც წელიწად ანანურში
რომ ჩამოვიარეთ იქა ვნახეთ;
ეტყობოდა მანქანა გაფუჭებო-
და, შოფერი მოტორს ჩაჰკირ-
კებდა, ის უცნობი კი თავს
დასდგომოდა. მამაჩემმა მამონ
კიდეცა თქვა: ამ კაცის სახე



...ბევრთ ისეთნაირად დაეჯახებოდა, რომ მოწვირისოდნა
მყევრებს ხელად ამოტრიალებდა ხოლმე.

ჩაღაც მცენობა და კი ვერ მომიგონებია სად მინახავსო. თურმე ის უცნობი, როგორც შემდეგ დავიგე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ყოფილიყო, მანქანით თბილისიდან ბრუნდებოდა თურმე, ფერის გამოგეს და მცენებარეს ყველაფერი უამბინათ ძაღლის გატაცების შესახებ, აუღელვებით და „ვილისით“ დაგვდევნებთან.



მამაჩემი მღვდლის შესახებ რად იცოდნოდა მანქანიდან და მეც თან გადმოვიყვები. „პირატი“ თითქოს მინგდა, რომ ის ხალხი ჩვენიან საკეთილოდ არ იყო მოსული. იგი ფასანაურში ყოფნის დროს თუ თავარის ფეხებით ინაბებოდა და მანქანიდან გაქმოსვლა არ უნდოდა, ასეა ქეჩოამლილი, ღრუნიტ გადავობა მანქანიდან, მამაჩემსა და მოსულებს შუა ჩადგა გამშველებელივით, კეფა ჩვენ შემოგვყვითა და თეთრი კბილების ეღვარებით ადრთხალდებდა მთიულებს — შავაზე წინ ფეხი არ გადმოდგათო.

...უცებ მარცხნიდან ტორპედოსავით გამოვარდა „ვილი-სი“, სვლა შეანელა და გზაზე გარდიგარდმო გადაგვიღობა.

— ჭოროა, ჭოროა! რა მოგივიდა შე საბგლეე, ვეღარა მცნობ?! — გამოვლაპარაკა ქავთარი, მაგრამ ძაღლმა მას ყურადღება არ მიაქცია. იგი განსაკუთრებით ვერძელს მისჩერებოდა, ისა ჰყავდა მიზანში აშაღებულნი, იმან შეაწუხა ფასანაურშიც და იმითომ იყო, რომ მას ხან დაანახვებდა კბილებს, ხან დამალავდა.

— ერთი ცაცმა ჰკითხოს, ქალაქ ადგილას რად უნდა ასეთი ძაღლი! მეძებარი რომ იყოს, კიდევ პო, მესმის. მაგრამ ამას რა უნდა გააკეთებინოს თბილისში, არ ვიცი! კრებებზე, ალბათ, მეცხოველეობის განვითარების შესახებ ორ საათს ილაპარაკებს ეს ამხანაგი, სინამდვილეში კი მეცხვარეებს ძაღლსა სტაცებს... — დაიწყო ვერძელმა დემაგოგურით მჭერმეტყველება, თან თავმჯდომარეს უყურებდა, რომელიც თავის მხრივ მამაჩემს მისჩერებოდა, თითქოს რაღაცას იგონებო, ხოლო ვერძელის ლაპარაკს, გვგონებდა არც კი ესმისო, ყურადღებასაც არ აქცევდა.

— რასც გააკეთებინებ, ეს უკვე ჩემი საქმეა! — უპასუხა მამაჩემმა. — მთავარი ის არის, რომ ძაღლი ჩემია და იმის მავიერად, რომ ჩვენგან და-

მოუკიდებელი მიზეზების გამო შექმნილი მღვდლმარეობიდან გამოსავალი ვიპოვნოთ, შენ ჩემთან ლაპარაკიც არ იკადრე!

უცებ ბრგე თავმჯდომარის მზით დამწვარ ქერა სახეს ღიმილმა გადაურბინა და, თითქოს ნათელმა გადაჰკრაო, ისეთი იერი მიიღო. მერე ხმაღაღლა მიმართა მამაჩემს:

— ვეღარ მიცანი, ამხანაგო გვარდიის მაიროო? — ბიუე, ფილო! შენა ხარ?! — აღმოხდა მამაჩემსაც და სახის ის დაძაბული გამომეტყველება იმასაც ერთ წამს გაუქრა.

თურმე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფრიდონ ყოჩიაშვილი საშამულო ომის დროს იმ ცალკე მესანგრეთა ასეულში მსახურებდა, სადაც მამაჩემი იყო მეთაურად, და ომის დამთავრებამდე ამ ორ ქართველს რა არ გადახდენია თავიანთ ასეულთან ერთად, რომლის შესახებ მამაჩემმა ათასი რამ გვიამბო და თითქმის ყველა ეპიზოდი ზეპირად ვიცოდით ოჯახის ყველა წევრმა... თვით ფრიდონი ხომ უსაყვარლეს, უმამაცეს აღაშინანდ დაგვიხატა მამამ და გაგვიცვირა კიდევ — რატომ დანახვისთანავე ჩვენც არ ვიცინით, თორემ მამაჩემისათვის ხომ ვერაფერი ვერ გვეპატებოა.

ისინი რომ ერთმანეთს მეგობრულად გადაეხვიენ, „პირატმა“ იგრძნო, აშლილი ბაღანი დაუშვა, თვალეში ბორბოტი ნაპერწყვლები ჩაუქრა და, ენაგდომოდებული, კმაყოფილებით

შეკუთრებდა მეგობრულად შეხვედრილ ადამიანებს, რომელნიც ერთი წუთის წინ სამტროდ მიიწვეოდნენ ერთმანეთისაკენ.

— ახანავო მაირო! — დაიწყო ფრიდონმა, მაგრამ მამაჩემმა შეაწყვეტინა: — პაატა-თქო, ბიჭო! რაღა დროს მაიროია!

— კარგი, აგრე იყოს. რომ მტოდნოდა აღრე, თუ თქვენ იქნებოდით, ასე გულხეითქებით აღარ წამოვიდოდი, იმატენილი ნავის და თბილისში გეწვევოდი, ვითომ ამ საქმის გამო, მაგრამ ახლა, რადგან ასე მოხდა, გამობრუნდით ჩვენსკენ და ჩემს ოჯახში დამანახეთ თქვენი თავი. ძაღლზე კი აბა რაღა მეთქმის, შენი ქირის სანაცვლო იყოს. ეგ კი არა, ათი ცხვარი რომ წამოგეყვანა, შენს მაგივრად მე ვავებდი პასუხს კოლმეურნეობასთან.

— არა, ფრიდონ! იცი როგორ არის საქმე? ეს ძაღლი პატარა ლეკვი მჩაჩუქეს. ჩემმა ქალიშვილმა გაზარდა. ქვეთარი გიამბობდა, რაც მოიმოჭმედა ძაღლმა იმის დავალებით... იმიტომ არის ძვირფასი ჩემთვის, თორემ მართლაც და რათ მინდოდა ქალაქში ასეთი ძაღლი?!

— დიას, რაღაც სასწაულის მსგავსი რამ მიამბეს. — დაეთანხმა ფრიდონი. — მთელი დღეღამე ცხვარს არ მოსცილებია და არც არავინ მიგვაკარა, სანამ ის გოგონა თვითონ არ მოვიდაო. გარდა მაგისა, ბევრი რამ აღრეც ჰქონდათ ნათქვამი. თურმე ჩვენი მეცხვარეები ყიზლარის ზამთრის საძოვრებზეც ასახელა მაგ ძაღლმა და მაგის სახელი კარგად დასსომებიათ რუს, უკრაინელ და დაღესტნელ მეცხვარეებს, რომელთაც ჩვენი ბიჭებიცით ძალიან ჰყვარებიათ ძაღლების წაჩხუბება.

— ბევრი მაგაზე ღიდიც იყო, — ჩაერია ლაპარაკში ჩვენი ნაცნობი ქვეთარი, — მაგრამ ეგ დალოცვილი ყურში რომ სტაცებდა პირს, ბეჭით ისეთნაირად დაეჯახებოდა, რომ მოზვრისოდენა მყფეფრის ხელად ამოტრიალებდა ხოლმე. ყველამ დაისწავლა მაგისი სახელი — „ბეგვიო ჩოგრას“ უძახდნენ და დაგვემუქრანენ: შემოდგომას

რომ ჩამოვალთ, ერთი „კამტანკა“ და ერთი „ბარბოსა“ გვყავს, იმათ ჩამოტყვანით და თქვენი „ჩოგრა“ ერთ ლუკვად არ ეყოფათო. თუ ჭორა შეყოლებოდა, ჰაი, ჰაი, რომ ვერც ნადირი დააკლებდა რამეს ჩვენს ფარას და მაგისი მომრევი ძაღლიც არ მეგულემა... მაგრამ ახლა აბა რაი უნდა ვქნათ?... — დააბოლოვა ქვეთარმა და გულისტკივილით შეხედა მამაჩემს. *

— წაიყვანე ძია ქვეთარ, ისეც წაიყვანე, თუკი აგრეა საქმე. — მოგვესმა ამ დროს თამარს ხმა, რომელიც მანქანიდან გადმოსულიყო ოთართან ერთად და უფროსების ლაპარაკს ყურს უგდებდა შორიდან.

თამარის ასეთ წინადადებაზე მთიულებს სახეები გაუბრწყინდათ. მამაჩემი კი სახტად დარჩენილი შემოტრიალდა თამარსაკენ და აღარ იცოდა რა ეთქვა. შევატყვე, რომ საქმის ასეთი დაბოლოვებით იგი მინცადამინც კვაყოფილი არ იყო, მაგრამ რაღას იზამდა! ყველა გზა მოკვეთილი აღმოჩნდა უკვე. თამარმა ყველაფერი თქვა და, როგორც შემდეგ დავერწმუნდით, თურმე, ძალიან კარგადაც მოიქცა.

* * *

იმ ძაღლით ის მთიულები საუკეთესო მეგობრებად გავვისხადა თამარმა. რამდენჯერაც თბილისში ჩამოვლენ, თამარს აუცილებლად რაიმე საჩუქარი უნდა ჩამოეტანონ და ჩვენც გვეპატიუებინან, მთაში გვეწვიეთო. გარდა ამისა, სულ ახალახალი ამბები ჩამოაქვს ძია ფრიდონს ჭორას სასახელო წარმატებების შესახებ, რასაც თამარი დაწვრილებით იწერს და ღიდის ამბით გვიპირდება მოთხრობა უნდა დაეწერო.

რამდენად შეასრულებს ამ დაპირებას თამარი, ან უფრო დაწვრილებით რა ამბები ჩამოაქვს ძია ფრიდონს, თვითონ მეც არ ვიცი, მხოლოდ ის კი ძალზე საინტერესოდ გვიამბო, თუ როგორ აკოტრიალა თურმე ჭორამ ნაქები „კამტანკა“ და „ბარბოსა“ და მთელი ყიზლარის საძოვრებზე კიდევ როგორ უფრო ცნობილა გახდა ჭორას სახელი.





მ ე გ ო ზ რ ო ზ ი ს ზ ე ი მ ი

აქ ჩვენ ზეიმი გავმართეთ,
 ბრწყინავს, ელვარებს ჩვენი მზე,
 დედა-სამშობლოს ბავშვები
 დაემატიყეთ ზეიმზე.
 მშვიდობის ლაღი მერცხლები,
 სიცოცხლის გარიყრაყები —
 ძმობის სიმღერის გუგუნით
 მოსულან რუსი ბავშვები.
 მოსულან ბელორუსები,
 მოსულან ესტონელები,
 მოსულან, მოუტანიათ
 სუნთქვა მშობლიურ ველებს:
 ძმობის ჩაუქრობ კოცონებს
 პაერში გააქვს გიზგიზი,
 მოსულა მოძმე თურქმენი,
 მოსულა მოძმე ყირგიზი.
 თექვსმეტი რესპუბლიკიდან
 მოძმე ბავშვები მოსულან,
 მშვიდობის დროშა გაშლილა.
 ცის ლაყვარდებში მოცურავს.

მასპინძლობს გოგო ქართველი,
 შავთვალა, სახემზიანი —
 კავკასიონის მთებიდან
 გადმოფრენილა ნიავი.
 აგერ, მკლავები გაშალა
 ცისფერთვალაზეა ჭაბუქმა,
 ჩამოუქროლა მიედანს,
 უკრაინულად ჩაბუქნა.
 იქით გარმონის ხმა ისმის,
 აქეთ — ტაში და დაირა,
 სიმღერა მეგობრობისა
 ირხევა ნაირ-ნაირად.
 ჩინელი ბიჭიც აქ არის,
 გზახსნილი, სახემღიმარი,
 და პოლონელი გოგონაც,
 სპეტაკ თვალებით მზირალი.
 მშვიდობის დიდი ბანაკის
 ახალგაზრდობა მოსულა.
 მშვიდობის მტრედი აფრინდა,
 ცის ლაყვარდებში მოცურავს.

გიორგი კალანდია

ი რ გ ვ ლ ი ვ მ წ ვ ა ნ ე ზ ა ფ ხ უ ლ ი ა...

ზაფხულია.
 არე-მარე,
 ქალა, ყანა,
 კორდი, ველი,
 ყვავილები, ბალახები,
 ზღვის ტალღები,
 ყველაფერი...
 მოსკოვიდან,
 თბილისიდან,
 კიევიდან,
 ერევნიდან
 სიყვარულით,
 სიხარულით
 პიონერთა რაზმებს ელის.

განაბულა სკოლის ზარი,
 ისმის ქშენა მატარებლის —
 მატარებლის ფანჯრებიდან
 ხელს გვიქნევენ პატარები.


ირგვილ მწვანე ზაფხულია,
 ყვავილებით დახატული,
 ყვავილებში ერთი ამბით
 მოქაქანებს ნაკადული.

ქეიშა ბზინავს ხორბლივით,
 ილიმება ხუთოსანი,
 ხოდაბუნში კომბანი
 დასრიალებს უთოსავით.

ეს ყანები,
 ეს ველები,
 ეს ქალები — ლელიანი,
 ყველაფერი,
 ყველაფერი,
 ყველაფერი
 თქვენი არი.

თქვენ იცით და თქვენმა სწავლამ,
 თქვენ იცით და თქვენმა შრომამ,
 მეც ვიყავი თქვენისთანა,
 გაუმარჯოს თქვენს ბავშვობას.

მუსრან მუჰამადიანი



რუსთავედ პიონერთა შუაგები

დღითიდღე იზრდება და მშენებდა ამიერკავკასიის მეტა-
ლურგთა ქალაქი. სწორი ქუჩები, დეკორატიული გაზონები,
ლამაზი შენობები, კლუბი, კინო, კულტურის სასახლე შნოსა
და იერს მატებენ სრულიად ახალგაზრდა რუსთავს. აგერ
განათლების ქუჩაზე მწვანით აბიბინებულ ენოში ლამაზად
გამოიყურება ორსართულიანი მშენიერი შენობა. რუსთავე-
ლი მოსწავლეები სიამაყით გიჟაფხუბენ, რომ აქ მოთავსებულ-
ლია მათი პიონერთა სახლი.

ჩვენი დიადი, მრავალრიანი ქვეყნის* რომელ წარმოად-
გენელს არ ნახავთ რუსთავის პიონერთა სახლში გაერთიანე-
ბულს; რუსები, უკრაინელები, ქართველები, სომხები, ზნერ-
ბაიჯანელები და სხვები მეტად გულთბილ, მეგობრულ და-
მოკიდებულებაში არიან. რუსთაველი მოსწავლეები ხშირად
თავიანთ პიონერთა სახლს მრავალრიანი პიონერთა შტაბს
უწოდებენ.

წრებში გაერთიანებული მოსწავლეები ეუფლებიან და
სწავლობენ სხვადასხვა ხელობას, პროფესიას, მეცნიერების
პირველ საფეხურებს. პიონერთა სახლის მთელი გულისუფური
მოსწავლეთა პოლიტექნიკური სწავლებისკენაა მიმართული.
აქამად აქ არსებული წრეთა უმრავლესობა ემზადება რეს-
პუბლიკური კონსერვისათვის — „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარე-
ბა სკოლას“.

ქიმიის წრის წევრები და ხელმძღვანელი გიორგი დონდუ-
იხე არიან გართლენი თავიანთი საქმიანობით, რომ ირგვლივ
ვერფერს ამჩნევენ. აგერ ავთანდილ ციხისთავი მარილმუ-
ვას მოხილვდ ხელსაწყოს აწვადებს; იქით ასან ზუზაშვილი
დაუხრია თავი და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბრძენ-
დის ქრილის მაკეტს ამთავრებს. მის გვერდით ლეონილ გონ-
ჩარენკო და ლუდმილა ტომაშოვა ფუსფუსებენ. ლეონილი
თავს დასტრიალებს მოდელს, რომლის საშუალებით პრაქ-
ტიკულად მტკიცდება ქიმიური ენერჯის სხვა სახის ენერ-
ჯივად გადაქმნა. ხოლო ლუდმილა კი ენერჯატორის გაზის
მისაღებ სადემონსტრაციო ხელსაწყოს ამთავრებს.

ნორჩმა ქიმიკოსებმა მოკლედ ილიაბაკეს თავიანთ ხელ-
საწყობზე და შეხედველ ერთხმად აღიარეს, რომ მათ მიერ
გაკეთებული მოდელები არც თუ ისე რთულია და ეტოპ
პრიმეროს მიერ დამზადებულ სასწავლო-სადემონსტრაციო

მოდელს ვერ შეედრება. ნორჩმა ტექნიკოსებმა ილიის მო-
დელს ჰაერიანი აზოტმუვავს მისაღები „ქარხანა“ უწოდეს.
და მართლაც, მოდელი მთელი თავისი სირთულით პატარა
ქარხანას მოგვაგონებს. მთელს კავშირში, ჯერ არცერთი მოს-
წავლეს არ აუგია ასეთი ხელსაწყო-მოდელი. წრის წევრები
წინასწარ ულოცავენ ილიკ პრიმეროს რესპუბლიკურ კონ-
სერვისში გამარჯვებას.

მეზობელ ოთახიდან საღამოსის, ჩაქუჩის და ხერხის რიტ-
ბული ხმები ისმის. წრის ხელმძღვანელის ვალერიან ბატი-
შვილის მეთვალყურეობით პატარა ხელმარჯვეები მთელი
მოხილვებით მუშაობენ. ისინი საქალაქო გამოყენისათვის ემ-
ზადებიან. აქეთ შალვა ქოჩიანი ხერხავს ფიცრებს, დახერ-
ხილს იქვე აღექსახდრე ახალია ასალაშინებს, იქით ზურაბ
ცუპა ხის წებოს ხარშვით არის გართული; გვიგ გრიგლა-
შვილს ჩაქუჩი მოუმარჯვევია და პაწია სავარძელს სპეცია-
ლურ ნაქვით—ფერად კრეტონს აკრავს, ხოლო ბაადურ ქა-
რელიშვილი ტანსაცმლის კარადის ნაწილებს ამზადებს.

ნორჩ ხელმარჯვეთა მიერ დამზადებული საოჯახო ნივ-
თები — სკაშები, რბილი ხაზარძლები, მაკიდები, ტანსაცმლის
კარადები და სხვა—წრის წევრების მაღალ გემოვნებაზე, საქ-
მის ცოდანსა და ოსტატობაზე მეტკვლებენ.

— ვლადიმერ! ენოში გავიდეთ, იქ უკეთ გამოვცდით! —
გაისმა დერფანში ნორჩი ავიომოდელისტის წერიალა ხმა.
ვლადიმერ შილაკაძეს ფიზიკაურში პლანეტის მოდელი დაე-
მთავრებინა და ახლა გულდასმით ათვალთვრებდა, რამე ხომ
არ დაუაკლიო. ზოლო პატარა სერვა ვარდოსანიძე პლანე-
ტის სქემატური მოდელი დაამზადა და ვიღაც ითმენდა, თა-
ვის ამზანავს ვარტ ეწეოდა. მას აინტერესებდა, თუ როგორ
იჭერნდა ვლადიმერისა და თავისი მოდელი.

პიონერთა სახლის ავიომოდელისტი ვიქტორ სუხორუ-
კოვის ხელმძღვანელობით ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან. ეც-
ნობიან და სწავლობენ დიდი რუსი ხალხის საამაყო შეგობას,
სახელგანთქმული გამოგონების უუკოვკის ცხოვრებასა და
მოდვეულობას. ნორჩი ავიომოყვარულები ამზადებენ სხვადა-
სხვა ტიპის თვითმფრინავთა მოდელს. ყურადღებას იპყ-
რობს ნორჩი ავიომოდელისტის ვიქტორ სოკოლოვის მიერ

ოსტატურად დამზადებული რეზინის ძრავიანი თვითმფრინავის სქემატური მოდელი, ვლადიმერ შილაკაძის მიერ დამზადებული რეაქტული თვითმფრინავის მოდელი და სხვა.

* * *

ავიომოდელისტა გვერდით ნორჩი გემთმშენებლები ფუს-ფუსებენ. მათ მუშაობასაც ვიქტორ სუხორუკვი ხელმძღვანელობს. საზღვაო საქმის მოყვარულები გულდასმით სწავლობენ ჩვენი ძლიერამოსილი სახეიდრო-საზღვაო ფლოტის ცალკეულ გემებს და აშაადებენ მათ მოდელებს.

აქ აშაადებენ თავიანთ პირველ მოდელებს ბავშვები, რომლებიც ადვილი შესაძლებელია მომავალში ჩვენი სამშოლოს ცნობილი ავიკონსტრუქტორები და გემთმშენებლები გახდნენ.

* * *

პიონერთა სახლის ბავშვები განა მარტო ტექნიკური დარგებით არიან გატაცებული. ვის არ მოხიბლავს ხატვა-ძირწვის წრის წევრის, რუსთავის საბავშვო სახლის აღსარადლის, ვლადიმერ დევრისაშვილის მიერ თეთრი ბუთის კვიხაგან დამზადებული დაფა, რომელზედაც მან ოსტატურად აპოკვეთა მოწოდების სიტყვები — „მშვიდობა მთელს მსოფლიოში“, ხოლო ეს წარწერა მშვიდობის მტრადით დააშუშენა. ამ ნაშუუვარმა გასულ წელს თბილისში მოწყობილ მოსწავლეთა შემოქმედების გამოფენაზე საერთო მოწონება დაიმსახურა, ხოლო მისმა ავტორმა ქების სიგელი და ფასიანი საჩუქარი, კინო-აპარატი, მიიღო.


წრის ხელმძღვანელის ალექსანდრე გიორგაძის მეტყველებით კვეშ ნორჩი მხატვრები გახდულად ხატვენ ნატურებიან, ეულულებიან ხატვის ტექნიკას და დღითიდღე იღრმავებენ ცოდნას. ნორჩ მხატვართა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან ვლადიმერ კობახიძე, შ.ა.ა ფირცხალავა, ალა კოვალიოვა, აკაკი გიორგაძე და სხვები.

* * *

პიონერთა სახლის დიდ ოთახში აკორდეონის დამკვრელმა კლავიატურა აათამაშა, ხოლო მელოდემ ხელი დაკრა დოლს და ირგვლივ ცეკვა „ქართული“ ნაცნობი მელიდია გაისმა. ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელი უსნიდა და უჩვენებდა პატარა მოცეკვავეებს ცეკვის პირველ მომენტებს, შემდეგ მუსიკის ხმაზე ამორებიანებდა და ამრავად ასწავლიდა ცეკვის „საიდუმლოებას“.



პატარა ხელმძღვრელები შუილი მონდომებით მუშაობენ. ისინი საქალაქო გამოფენისათვის ემზადებიან.



ქიმიის წრის მორიგ მეტადინეობაზე.

მიმდინარე წლის 25 მარტს რუსთავში მოწყობილ ცეკვის ზეიმზე მონაწილეობა მიიღეს პიონერთა სახლის ნორჩმა მოცეკვაეებმა. ქორეოგრაფიული წრის პატარა წევრებმა თინა ძიძიგურმა და ბეჟან ხუროშვილმა ხალხური საყარავის ხმაზე ლაღად გაშალეს მკლავები და მონდენილად შეასრულეს ცეკვა „ქართული“. შემდეგ მარტო ბეჟანი გამოვიდა და ოსტატურად იცეკვა ტემპერამენტისანი „მონები“. პიონერთა სახლის ქორეოგრაფიული წრის წევრებმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს.


რუსთავის პიონერთა სახლი ჯერ ამდენად ნორჩია, რომ პიონერის ასაკსაც ევრ მიაღწია. იგი სულ ხუთიოდე წლისაა. მაგრამ, მუხუხედავად ამ მცირე დროისა, მან ბევრ მოსწავლეს გაუკაფა გზა, მრავალს აპოვნინა შესაფერის ხელშეწყობა და პროფესია. ქიმიის წრის ყოფილი წევრები: შოროშვილი, გვეცვაძე და ბლუდიგი დღეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ლაბორატორიაში მუშაობენ. ვინ იცის კიდევ რამდენი პიონერი აღიზრდება ჯერ კიდევ სრულად ასაღზრდა ქალაქის — რუსთავის პიონერთა სახლში ჩვენი ქვეყნის საამაყო აღმზიანად.

თ. სხაბრუკვი
ფოტო შ. ჩხეტიანი

მოგზაურთა ქალაქი

ეზრაან ლუბანიძე

ნახ. ალ ბანძელაძისა



არც ასფალტი
 არც შენობა
 არც ჩუქურთმის ვარაყის
 ირგვლივ მხოლოდ ნაძვნარი,
 მზე, ყვავილი, ბალობი...
 ასმა რაზმმა —
 ასლამაზმა —
 ტყისპირ დასცა ბანაკი
 და გაშენდა ქალაქი...
 სახლებია ბრეწენტის,
 არა ქვის და არა ხის...
 ჩემს დღეში არ მინახავს
 ამისთანა ქალაქი!

ქალაქები მინახავს
 ანაგები აგურით,
 მთები გადამილახავს,
 მაგრამ არ მაქვს ნახული,
 არც მსმენია ქალაქის
 ბავშვთს ხელოთ აგება.

— ეს ქალაქი ჩვენი! —
 მთებს გასძახეს ბალღებმა;
 უბალ საყვირს ჩაჰბერეს,
 გააცოცხლეს ქალაქი:
 — ჯერ თუ არ გაქვთ ნანახი,
 მოდი, ნახეთ ქალაქი —
 მოგზაურთა ქალაქი!

მოდი, ნახეთ ქალაქში
 მოგზაურთა შეკრება;
 „ხაზის“ შემდეგ კოცონი
 და ვახშამი გვექნება.
 რა ქედები დავლახეთ
 და რა გზებით ვიარეთ,
 საღ ვიყავით,
 რა ვნახეთ, —
 ერთურთს გავუზიარებთ,
 რათა ძილი გაუტყდეს
 ქალას, ტყეს და ფრიალოს,
 რათა მთელმა ქვეყანამ
 ზურგჩანთებით იაროს!

იმნიარად ჩაიარა
 მთელმა ჩემმა ბავშვებმა, —

მეც მიყვარდა ტოლებში
 სწავლა, გავლა, ანცობა...
 მეც ვეტრფოდი მორიზოვს,
 მეც ვეტრფოდი მამლაკათს,
 მაგრამ ერთხელ რა არი
 არ ვყოფილვარ ბანაკად;
 არც იმ გზებით მივლია
 ოცი წლის წინ, ცხადია,
 მოგზაურთა რაზმები
 ჩვენს დროში რომ დადიან.
 ვღგავარ, როგორც ზღაპარში,
 სულ სხვა გზებით დალილი...
 მესმის ცაღაღმართული
 საყვირების ძახილი.
 სადაც არის ცეცხლისფრად
 განათდება ქალაქი...
 მივალ, ვნახო ქალაქი —
 მოგზაურთა ქალაქი.

მზე ჩადის და
 მივბიჯებ
 მუხლებამდე ბალახში...
 — ძია, საით?
 — მოგზაურთა ქალაქში!



— მაშინ, აქეთ წამობრძანდით,
კომენდანტი გაგყვებათ! —
შემაჩერეს ქილაქის
მისაღვომთან ბაღლებმა,
საითათოდ დამკითხეს,
ვითომც პატრულებია,
ვითომც ომში იცავენ
ქილაქს საართულებიანს...
ბინდლება და
მივაბიჯებ
მუხლებამდე ბალახში...
— ძია, საით?..
— მოგზაურთა ქილაქში!




ცაზე დასხდა
ვარსკვლავები,
გაიისფრდა ქედები,
მოგზაურთა ქილაქში
შევდივარ და გწერდები.
ტყისპირ ცეცხლი ანთია,
ზედ ბუტბუტებს კარდალი;
მზარეულის ლანდია
და კარვების კვარტალი.
კარავს მისდევს კარავი —

ქილაქია კარვების,
იმის იქით მხარდამხარ
ცად წასულან აღვიბი.
სღუშს ღამეში ქილაქი,
ვღუშვარ ბნელში სტუმარი.
გავიარე ქილაქი,
მივაბიჯებ მღუშმარი,
გზაზე არვინ შემომხვდა,
არვინ მკითხა სახელი...
— ჰეი, ხალ ხართ ქილაქის
ნორჩი მოქილაქენი!
მავრამ... ეს რამ ინათა,
ბნელში ეს რამ იალ!
ვებერთელა ხანძარი
ზეცას მისწვდა ბრიალი;
აღმიართა ალგებთან
კარვებს იქით კოცონი,
ცაში შეატაკუნა
ცეცხლისფერი ქოჩორი...
შეგვართი სიხარულისგან,
ვნახე, რასაც ვეძებდი,
მივაღქეი მოედანს
და კოცონთან შეგერდი.

უცებ თვალი მოვკარი
მესაყვირეს პაწიას.
წინ წამოღდა კომენდანტი,
შეღდა, ხელი ასწია;
წინ წამოღდა მესაყვირეც,
ცად აღმართა საყვირი,
ჩააბერა, და შევიდას კარავს
მოეფინა ძახილი.
ჩაიდგარა ძარღვევში
ის ხმა, როგორც ბღაგი...
ანძას აჰყვა ალაში
და დაიწყო პატაკი.

გამოვიდა ყმაწვილი,
მკვირცხლი,
როგორც ფრინველი,
რუსი პიონერების
ჩაზმში იღდა პირველი,
მისი ოქროს ქოჩორი
ცეცხლის შუქზე ელაგდა;
წინ წამოღდა ბიჭუნა,
შეღდა, ოღნავ ლელავდა,
და თქვა:
— როგორც მოვსულვართ,
ასეც მოვალთ ყოველივეს,
მოძმე საქართველოში
სიყვარულით მოვიდით.
დიღია და ვრცელია
ჩვენი ტყბილი მამული,
აქეთ ვოლგა-დონია,
იქით — დიღი ამური.
ურალს იქით გაშლილა
ბუმბებრაზი ტაიგა...
ნორჩი მოგზაურები
მივაღქეით ბაიკალს;



სტუპრად ჩამოვეუარეთ
 ყაზახეთის ტრამალეზს;
 იქ დღეს შრომა ზეიმობს
 და ჩვენც მრავალს გვავალებს.
 საქართველოს ლაყვარდი
 დე ბრწყინავდეს ყოველთვის!
 მოძმე საქართველოშიც
 სიყვარულით მოვედით.
 დიად მოსკოვ-ქალაქში
 ფრენით წამოშლილბმა
 მოგოტიანეთ მეგობრებს
 ჩვენი გამოცდილება...

იგი მწყობრში დაბრუნდა —
 მკვირცხლი, როგორც კალმისი.
 სდუმდა ბნელში ნაძვნარი,
 სდუმდა მთები ამაყი.
 გაისმოდა ანძაზე
 მხოლოდ აღმის ტყაცუნი.
 ესტონელი ბიჭუნა,
 უკრაინის ასული,
 წინ წამოიდგენენ რიგრიგად,
 უბაჩაყეს შეყვებას.
 ბრიალებდა კოცონი, —
 ზეცა წითლად შეღება.
 სდუმდნენ რუსი, ქართველი,
 და სომეხი და-ძმები,
 ლიტვისა და ლატვიის
 პიონერთა რაზმები,
 იღვნენ ფიქრით, ოცნებით.
 კვამლით შემობურვილნი
 და მფეობდა ქალაქში
 საზეიმო ღუმელი.

* * *


ასე გახსნეს შეკრება
 ნორჩმა მოგზაურებმა.
 მთელი კვირა მალხენდა
 მნახველს მათი ყურება.
 მთელი კვირა მალხენდა
 მოგზაურთა ქალაქში
 მეგობრობის სიმღერა,
 ვაჟა, ცეკვა-თამაში.
 უხატავდნენ ერთმანეთს



თვისი თვალით დანახულს:
 შემოდგომის ქართლისას,
 უკრაინის გაზაფხულს,
 რიცას-ტბების დედოფალს,
 სევას-ლურჯს და მცინარეს,
 ურალს-ქვეყნის სამჭედლოს,
 ვოლგას — დედა მდინარეს...
 წყრიალებდა საყვირი:
 — ჯერ თუ არ გაქვთ ნანახი,
 მოდით, ნახეთ ქალაქი —
 მოგზაურთა ქალაქი!...



და საყვირის ძახილზე
 მთელი ქართლი ჩქარობდა
 ქაბუქსა და ბერიკაცს
 მისკენ მიუხაროდა.
 მოსდოდა მნახველი
 ქალაქს ახალ-ახალი...
 მაგრამ ერთხელ ქალაქში
 დამხვედა ნაქალაქარი —
 აღარ ჩანდა დროშები,
 აღარ ჩანდა კარგები;
 წასულიყვნენ ნორჩები,
 წასულიყვნენ კარგები,
 წასულიყვნენ, ვისთვისაც
 მარად მსურდა კეთილი.
 ვიდექ ნაქალაქარის
 კართან გულდაწყვეტილი
 და ვფიქრობდი იმედით
 და ვფიქრობდი ტყვილით:
 ჩვენს მაგივრად ისმოდეს
 თქვენი კვილ-ხვილი.
 თქვენ ხართ მზეში შობილნი,
 თქვენ ხართ ბედნიერები,
 თქვენ ხართ ბატონ-პატრონი
 მთელი ქვეყნიერების!
 იძლიეროს სახელმა
 თქვენ რომ ერთად შეგყარათ!
 თქვენზე ზრუნავს სამშობლო,
 თქვენზე ზრუნავს ქვეყანა,
 თქვენთვის
 ექვედათ მომავალს,
 თქვენ
 გიტოვებთ დაზაფხულს...
 ვასწოთ,
 გაპყეთ
 შარავზას
 მამებისგან დასახულს.



რეპან ინანივილი

ნახ. გ. ჩირინაშვილისა

ჩ ე ბ ი ს ო ფ ე ლ ი

სულ მალე არდადეგები დაიწყება და სოფელში წავალ. რომ მკითხოთ, რა მიგისარია იმ შენს სოფელში; რა დაგხვდება ისეთი, არ ვიცი რა უნდა გიპასუხოთ. იქნებ ის, რომ იქ მდინარეა, — ჩემი საყვარელი ბროლია. მართლაც და რა უნდა იყოს ამაზე უკეთესი? ზისარ კლდის ქიმზე ანკესით ხელში, შენს მალა ჩუჩჩულეებენ ვერცხის სალიონიანი ფოთლები, დაბლა კამკამა წყლის ტალღები. წყალი წმინდაა; საესეა ნაირფერი კენჭებით და ლიფსიტებით. აქა-იქ დაზოზნიებენ წელმსხვილი ქანრები, დაბორიალებენ მოუსვენარი მურწყები.

ლიფსიტები ცელქობენ, თითქოს ცაში უნდა აფრინდნენო, ხტებიან, გაიღვებენ მზის სხივებზე, გაადენენ ტყაპანს და წყლის პაწაწინა რგოლებს ლიცილით გააქცევენ ნაპირებისაკენ. ისინი ყოველთვის გუნდ-გუნდად ესევიან ანკესზე წამოგებულ ქიაყელას. უფრო გამბედავები ევევებიან კიდევ, აქნევენ აქეთ-იქით, ამოათრევენ წვალებით, ბრუნავენ აღმა-დაღმა, აელვარებენ იმ გასარკულ გვერდებს, მაგრამ ქიაყელა მაინც უეცნებლად რჩება.

ბოლოს მოვარდება რომელიმე ფეთიანი მურწა, დაფრთხობს პატარებს, ერთს გაუჭროლებს ანკეს და წაიღებს. ხელში, რომელშიაც ანკესის ტარი გიჭირავს, უნეტარეს დარტყმას გრძნობ. იგი სასიამოვნო ერთუნტელად იქცევა. გივლის ფეხის თითებამდე. უცდი ერთხელ კიდევ განმეორდეს. აი, განმეორდა. კიდევ ერთხელაც! აჰა, ესეც. მოსწყევ ტარს და იმ ატეხილ მურწას მძიმედ გადმოაგდებ ნაპირზე.

მაგრამ მარტო თევზის დაქერა კი არ არის საქმე. ცა სუფთაა, მაღალი, მალალი. და იქიდან, იმ თვალმუწუვდენელ სიმალიდან, თითქოს გამდნარი ოქროს ძაფებიო, ეშვება მზის საამო, დამთრობელი სხივები.

შორს, მთებზე დაეხეტებიან შებოლილი, წვიმით სავსე დრუბლები. მათი ჩრდილები უზარაზარ ქორებივით გადდიან სერლიან სერზე, ხეო-



ბილან ხეობაში. ბლანტი სილურჯე მორავია ტყეებს, საძოვრებზე კენჭებოვით მიმოყრილა ხარძროსა...

დაბლა, სოფელში, ფერები მეტია. სახლების წითელი სახურავები, ცისფერი აივნები. შავად პირდაფერილი სხვენიები... ვენახებში მდეციები-ლით დასახლარან ბუმბერაზი კაკლები, კურღლ-ლობის ყანა, ახასხსეგენ ძარღვაგარ ფოთლებს სმიწლები...

შენ ოღონდ ყური მიუგდე და დააკვირდი. ჭრიჭინები, მირბი-მორბიან მსხვილ-მსხვილ ქიანველები, დაფარფატებენ ფრთახატულა პეპლები, ბზუიან ფუტკრები...

რაღაც ზემია, რაღაც ზეადიცი თავისუფლება, სიმსუბუქე. ასე გგონია — დაქნევე ზეღებს და აფრინდები.

აღტაცებით ავლებ თვალს შემოგარენს, გინდა ვიღაცას გაუზიარო შენი სისარული, ეძებ საყვარელ აღამანს, იწევი ფეხის წვერებზე და...

— აუუ... — აღმოვხვება უნებურად. აფრინდობ ქაცვის წვერებზე აქანავებულ კაქკაქებს, ვერხვის ტოტებში მიყუჟულ გვირგებს...

ხანდახან მთლად მოულოდნელად ამოვხვრება საავდრო ღრუბელი; წამოვ, წამოვფრინება, გაიშობა, მოედება მთელ ცას და დაიწყებს ბუზლუნსა და კრეკს. ღრუხუნებს და ელავს.

ბიჭი ხარ და გასძელ, ფეხი არ მოიცივალო. ნახავ, როგორ გაჩუქდებიან ჭრიჭინები, როგორ აყიყინდებიან გაყვინებულნი ბაყაყები, როგორ ჩამოივლის ცივი, ნოტიო ნიავი და როგორ შეუტყვის ყველაფერს იერს.

მე ეს შარშან ვნახე, იენისში. სოფლის დაშორებით ვთევზაობდი, ქოფთავის გორასთან. სწორედ ისეთ მდორეს წაგაწყვი, წელიან რომ გეუბნებოდი. გამოსულსავე ერთი უშველებელი ტინი იმ გორიდან და კამჩივით ჩაწოლილიყო შოგ შუა წყალში. წყალს სწყინდა, ბრაზობდა, ეხეთქებოდა, ემუდარებოდა, მაგრამ რაკი ვერაფერს ვერ აგონებდა, თითქოს ხელი ჩაუტყევიდა, წყნარდებოდა, უკან ბრუნდებოდა და ქვემო მხრიდან ელაციებოდა. აი ამ ლაციცა მდორეში მეგო ანკესი, თავათი კი, რალა თქმა უნდა, ტინზე ვიყავი შესუპებული.

ყველაფერი თითქმის ისე იყო, როგორც სხვა დროს. ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ, პეპლები დაფარფატებდნენ, ქედნები მიფრი-მოფრინავდნენ, ლიფსიტები ხტოდნენ...

მხოლოდ შემოგარენი იყო ოღნად სხვანაირი. აქეთ ის წამოყუჟული კლდე, იქით — ქალა, ქალის იქით ყანები და სათიბები. მზეც...

არა, მზეც ჩვეულებრივ იცინოდა. მხოლოდ ორიოდღეჯერ ისე მომაქეჩინა კეფა, თითქოს საღვინო დაეჭობინებინა.

გაკვრით ნაკლებად მიყრავდნენ. ამოვწევი ანკესს, შევხედავდი მთელ სივრცეზე ჩაქმიულ ქიაცელას და ისევე ჩაუღმებდი წყალში.

ერთიჯ ვნახით ჩრდილი — წამომადგა. საიდან უნდა იყოს-მეთქი. ავიხედე და რასა ვხედავ: ზედ

იმ ქოფთავის გორიდან ამოსულა ერთი პირგამსურული ღრუბელი, დასწევია მზეს და ახლა ქვევით მიეშურება.

დაუვადე ყური: ჭრიჭინები გაჩუქებულს, იქვე ჩემს ახლოს ამოხიზნებულა ერთი ღიბიანი ბაყაყი, შემომავტურებს დაქუსული თვლებით და რალაცა მიუბნება.

— ბრე-ყე-ყე-ყე... ნიავიც... ნიავიც სხვაგვარი ქრის, თითქოს სველ ტილოს გიცაცუნებენო სახეზე.

— გრ-გრ-გრ... — მოისხა ქოფთავის იქიდან.

ახლა რომ შინისწყვე მოვფუსვ, სწორედ ის დრო-მეთქი. ამოვადე წყლიდან პარკი, რომელშიც ორი-ოდე ქეიჭყისა მეგდე, წაწვდი ანკესს და... სწორედ იმ დროს, განა გააქარა გატემა ძაფი, წაილო, წაილო ზევით-ზევით და შოგ შუა მორავში გაიბანა. ვერარ მოვთამინე. რალაც შიშით გამოვწეი და შიში სისარულად მექცა. ერთი ვეებერთოლა ქანარი ამოვართიხე.

ჯერ იქვე ქეიჭყე ჩამოვტარე, მერე ვთქვი: ამას უქვევლად ამხანავიც ეცოლება-მეთქი. ანკესსზე ჭიაცელა გამოვცვალე და ისევე ჩავჯექი.

საღლა მასთან არ ღრუბელი ან ნიავი!...

მაგრამ ვითოვან შეშახსენეს თავი.

რიყეზე, ხეობის ყელში, როგორც გემის აფრა ისე აიზიდა რალაც. ვადიდდა, გაიშობა, მთელს ხეობას მოედო, მახსლოვდა და ფრუტუნით, ბზრიალთ გადამაიარა. ეს ქარიშხლის ნიშანი იყო, მაგრამ თვით ისიც არ ყოფილიყო შორს. ძაფის ახვევა ძლივს მოვასწარი, რომ ერთი ვიუთმეველებელი დატრიალდა.

ამხანაუნდა წყალი, ატყაუნდა ქვევით, ატეხა სათქახუთქი ვერხვებმა, გაფრინდნენ ნორჩი ფოთლების ნაფლეთები ბზრიალ-ბზრიალით...

ცა აღარ ჩანდა, მოგარუხუნებდა ქუფრის ღრუბლის ჯარი და ხან აქ, ხან აქ იღვაკებოდა ელვა, ჭახჭახით ჩაიჩეხა მეზღ და თითქოს ამას უცდილო, ნოსკად კოკისპირული წვიმა.

მთელი ძალ-ღონით გვიბრძოდა და აღარ ვიცოდი სად დამეშალა მიწველი აღდგომები. წვიმა თქლიშინ-თქლიშინით მიხეთქებოდა სახეში, ჩამოვდა კისერში, ყელში...

გავცდი ქალას, გავიდა ველოზე. აქ, გზის მახლობლად ოდესღაც გაჯღს იღებდნენ. აგერ ისიც. სირბილს კულატე და პირველსავე წინწამოვდილ ქბოლენ ქვეშ წავწეპი, აქაქანებულნი, გაუზუნულუნი.

ანკესის ტარი მუცელზე მქონდა მიხუტებული, პარკიც მაგრად მექირა, და რალაც შეუტნობელი შიშით, შეუტნობელი სიამოვნებით შეეყურებდი ბუნების ჯანას.

გზაზე ტრიალებდა ტალახისა და წვიმის წვეთების ქარიშხალი, ღრუბლები ძირს ჩამოსულსყენ და მორცხვებზე მიხიზავდნენ, დაბლობებში უკვე ბრყინავდა ნაყადღები. გუფუნებდა ცა, ღელამიწა. და ყველაფერი თრთოდა, კანკალებდა.

მერე ის ბუზუნა ღრუბლები საღვინო ქვემოთ წავიდნენ, ქარია ჩაღდა, წვიმამ იკლო. ავდექი.



გარკვევით ისმოდა წვეთების ჭყაბა-ჭყუბი, ნაკადულების ჩუჩხუხი.

გამოჩნდნენ უკვეცა მერცხლები, წივილა ნამგალები. გამართეს მარულა. შეპკრავდნენ კამარასა და დაეშვებოდნენ დალა. თითქოს ცის დანაბარებს ეუბნებთან დედამიწასო.

აფრინდნენ ტორალები. აფრინდნენ სულ მალა, სულ მალა. დაუწყეს პატუი მზეს.

და იმანაც არ დაავიანა. დარუბლების ფარდა გასწია და კეკლუცად გამოიხინდა.

რა ამბავი ატყდა ირგვლივ, რა სიხარული! ამღერდა მწყერჩიტა, ავიტკვიტდა მწყერი, მთმართეს ჭიანურები ჭრიტინებმა და ცალიებმა...

ყველაფერს სახე უბრწყინავდა. იცინოდნენ მთები, ველები, ტყეები. იცინოდნენ პაწაწინა ბალახები, კენჭები, წვიმის წვეთები...

იცინოდა სოფელი.

დატყაუნობდნენ ფეხშიშველი გოგობიჭები გუბებში, ტყუბალობდნენ და ყიყინებდნენ ბატები, ხალისიანად ზმუნოდნენ ბონოლები.

კოლმეურნეები გზაზე გამოსულოცვენ და სახეგაბრწყინებულნი შეპკურებდნენ გაბიჭბიებულ მიწას, ერთმანეთს...

სურნელი იდგა ნორჩი. ფოთლების, შაწის, ყვავილების...

სწირად ფერადებოდა. ხან ერთი რამისკენ მიმიწვედა გული, ხან მეორისაკენ. მიწოდდა მივსულოყავი და ხელი მომეხვია, მიმუნტებინა. მიწა, ბალახები, ხეები, ადამიანები... თვით ღრუბლები და კისკისა ეღვაც კი. ისინი ღამაზები იყვნენ, კარგები იყვნენ, ჩემები იყვნენ — ეშობოლორჩი. მე მათი ვიყავი. მათი გულისათვის სიცოცხლეს არ დაგიშურებდი.

განა თქვენ კი არ გამოვიცილით ასეთი რამ?

ჰოდა, ახლა როცა ვამბობ, სულ მალე არღაღვებები დიწყება და სოფელში წავალ-მეთქი, რომ მკითხობთ რა მიგინახია იმ შერს სოფელში, რა დაგხვდება ისეთიო, არ ვიცი რა უნდა გიპასუხოთ. იქნებ თქვენ მითხრათ, რომელს შივცე პირველი აღვილი, რომელზე ვთქვა — ამისი ნახვა მენატრება-მეთქი ყველაზე მეტად?

რარომ აიაზმდით?

მშვიდობა ბავშვებს

შენს დასაცავად...

ჩემო გოგონა, ჩემო მყვალა, როგორ მშვენიდები, როგორ იზრდები. მე ვიცი, შენი გული პატარა უკვე საესეა დიდი მიზნებით.

კარგი ბავშვობა როგორ ვიხდება, თეთრი ბანტები, თეთრი წინდები... მე შენთვის მინდა ყველა სიმღერა, შენთვის არაფერს შევეუშინდები.

მხოლოდ სიცოცხლე, მხოლოდ დარია შენი ჯღურტული, შენი სილაღე. მადლობა ყველა კარგ ადამიანს, — შენს დასაცავად ხმას ვიცე იმადლებს!

ნაზი კილასონი

ჩ ვ ე ნ ი დ ლ ე

პირველი იენისი გათენდა, მზე ბრწყინავს, მერე და როგორი... რანდენმა ვარდმაც და ყვავილმაც გუშინდამ გაშალა კოკორი;

რამდენი ფრინველიც აფრინდა ხიდან და ბუდიდან დღეს დილით, იმდენი ბავშვი ვართ ამ ქვეყნად სამშობლოს ნათელ მზეს შეზრდილი.

ვარდებს და ყვავილებს მზე უნდათ დაცვარულ ფოთლებით ხანდახან; ფრინველებს — ფრთები და ჰაერი, ტყეების, მინდვრების დანახვა.

მოზარდებს მშვიდობა გვეჭირდება, რომ ფრთები გავშალოთ, ვიზარლოთ, მშობლების დარდი რომ არ გვეჭონდეს, მშობლებმაც არასდროს გვიღარდონ.

ეს დღე ჩვენ გვეკუთვნის საკუთრად, — მშვიდობას შევხარით ბავშვები; სიცოცხლის მდინარის ზვირთებად მოვიდვიართ, არასდროს დაეშრებით.

ნოლარ შავენიძე





ნოტიცები

თბილისის სტალინის რაიონის 17-ე, 19-ე, 20-ე და 25-ე საშუალო სკოლებში სამი წელიწადი შემოიწია ხატვა-პერსონაჟის წრეები, რომლებსაც ხელმძღვანელობს მხატვარი რუსულად ჯავახიშვილი. წრეებში გაერთიანებული ნიჭიერი ბავშვები დაეძღვნნენ როგორც ფანქრით, ასევე ხელით მუშაობის ტექნიკას და მიზლინაზე წილს საყურადღებო წარმატებებს. მიადრწეს, რაც ნათელყო

აშასრნათ 28-ე საშუალო სკოლაში მოწყობილმა სამაგტრო გამოფენამ: გამოფენაზე გამაგტრიბული მოწონება დანი-სახურის ნორჩი მხატვრებისა: ნანა ბედიანაშვილის, ნელი არაქელავას, თეიმურაზ თბილდის, თამარ ბურჯულაძის, ეთერ ბიბიანიშვილის და სტეფანო ნამუშვიტებისა. ეგებდეთ ორ ფერწერულ ექსპონატს გამოფენილას.

„მიიიხვდნენ“

პატარა რუხი ძლიან ბეჭეტი და წიფნების მოყვარული ბები იყო. როგორც კი სწავლას მორჩენებოდა, მშობივე გარბოდა ბიბლიოთეკაში წიფნის განათარება. მას ბიბლიოთეკაში „პატარა მწიფნობას“ ეძახდნენ. მებრამ რუხი მშობლებმა ბინა გამოიცვალეს და რუხის ახალ ბიბლიოთეკაში ჩაურთა მოუხდა. შილის რუხი ბიბლიოთეკაში, თან ფიქრობს, მიუხედავად თუ არა ახალ ბიბლიოთეკაში, რომ წიფნის ფუფასი ბიბლიოთეკაში შეეკითხნენ: — რუხი მობტანე, ბიჭობო? — არა, — უბრალებს რუხობი. — მამ, რა ბებე? — უბრა მებეჭეობი ფებეში ბიბლიოთეკაში. — რამდენი წილას სარ? — რვა წილასა, მობო ცხრბასა შეცხრბულეობი. — კობნე ბეჭეტან? — რუხობი ბეჭეტან, გამართლდა მებრამ არაფერი უბრაბა. — არა ეს წიფნი თუ მოეჭეწონება, — გაუწოლდა ბიბლიოთეკაში რუხის პატარა წიფნი, რომედასაც უბრაბე მებრამ ასამი დაეჭობი.

რუხის თითქმის შერცხება და უბასუბა: — არა, ეს დიდი ბაბია წიფეობიბე. — მამ, მხოტრას სახეჭეობი“ წიალი. — იგეო წიფეობიბული მებეს. — „ქმბი ბობობილბი“? — არაფერე წიფეობიბე. ერთხელ ბალბეტი უბახე. რუხის კიდევ რამდენიმე წიფნი გაღვაუტეს: მებრამ ყველხე უბრას ამბობიდა. მას ყველა წიფეობიბული ჰქონიდა. ბიბლიოთეკაში მომებუბევი ლიბილთი ამბობდნენ: — შეხედეოთ თითისტოლას! თვითონ იბელება არ არის, რამდენივე წიფნი აქვს წიფეობიბული. ბიბლიოთეკარი იბეუბებული გახდა რუხი მიბეჭეა წიფნებთან. რაბა თვითონ ამებრჩიბა წილასობი წიფნი. რუხობი აილი ფ. ევდგობობისა „ჩენბი კლასობი“ და ესეყოფილი გამოვიდა გარბო. „მიმბებდნენ“ ფიქრობდა გზაში პატარა რუხობი.

800-ზე მეტი ბიბლიოთეკა

თბილისის 51-ე საშ. სკოლის V კლასის მოწიფელა

მოსწავლეებთან შემოქმედება

პარტიას

შრობილბი მზრუნველობით თავს იმისთვის გვევლები, რომ ვცხოვრობდეთ ბედნიერად ნორჩი ლენინელები!

შენ მოგვეცი სიხარული, უმრეტე და უღვევა, და დიდი მომავლით აგებებერ გულები.

საშაურბი და ტბილი დრო შენი ზრუნებით მოვიდა; ჩვენ შენს ამავეს ვუბასუბებთ სწავლითა და შრომითა.

შრობილბი მზრუნველობით თავს იმისთვის გვევლები, რომ ვცხოვრობდეთ ბედნიერად ნორჩი ლენინელები!

ვალერიან ბილაშვილი,
თბილისის რაიონის № 1 საშუალო სასწავლებლის მოწიფელა

სიხარება

რა ვრცელი არის ჩემი საშობლო, ერთ დღეს ფიქრბთაც კი ვერ დაეყო. იბღერე გულე და გამახარე, კვლავ გამობრწყინილი როგორც ყვავილი.

შთის წყალი მოაქვს საშობროს არხებს, რუსთავეს ველზე ჰარხენბი სხედან, ლეგეარბოს ფარდას ნეაყი არხებს, ბედილიდელ ლის სინათლეს ვებედე.

საგაფხუბლო მივეგარს სიმღერა, ალატყეობისთვის გულს ჩასახული, უბრაბე ფრებდა რომ დაიბრეცე, მხოტრამ მიყვარს ეს გვაზაფხული.

მე თვითონ გული დამემბდრებდა, — საშობლობს ღობსი კება არ ეტობხა. სხვა სიყვარული არე მეტულემა, — გულზე რომ ასე მიმეპსათობა.

რა ვრცელი არის საშობლო მხარე, ერთ დღეს ფიქრბთაც კი ვერ დაეყო. იბღერე გულე და გამახარე, კვლავ გამობრწყინილი როგორც ყვავილი.

ჯემალ ალაში,

თბილისის რაიონის სოფ. ეკას საშუალო სკოლის მოწიფელა



ნათურბობი (ხეობი) ნელი არაქელავა

განთიადი სოფლად

მებრბლად გამობკობის მთებაც, ცისტრბის ვარსკვლავი ეუბას, იბეჭებებს ტურბდა ბიბობი, შობილდა ყახა ლღვებს.

ბაშლის ყვავილი ისმის, მიმეჭილად ბიბეჭე კრებბა, მოგებს გაღვეყახა ბისლი, მზობანი დობი დებბა.

შრომის ზეობი ხარბობს, ტრბტობი ავღებენლბ... ბახეუ შობა და ბაბობ, გულს სიხარული უღლბ.

პახაბან თობაბან,

თბილისის 57-ე საშუალო სკოლის მოწიფელა


სამეზობლო

ოცნებამ ბებერბერე შემობმატობა, ქვეწიბრებობს ყველა ბილიტი. მივეგარს, მიანი ვარ ბავშვი პატარა, და ავსებული შენი თილბანი.

მივეგარს, სხვა ეშობა, სხვა სილამაზებმ ჩად არ წარბტავება გრბობბა, თვალბე. მე მებულებრბლდ შენს ცას, შენს ვაზბე ბელბაყობობლი ვეობიყვანბობი.

ჯემალ სობობი,

სოხუმის ბებ სან სკოლის მოწიფელა



3. ი. შერიკოშვილი,
ბიოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ენგოგოღობის ნაემბობი

ფეფრივი

ვიწრო ველიდან ზა მალღ გორაკზე აღის და ჩვენს წინ ლერწმით დაფარული ფართო მინდორი იშლება. ლერწმისაანს იქით ეკლიანი ჯინჯილის რამდენიმე ბუჩქი მოჩანს.

საიდან გაჩნდა აქ, ამ უწყლო უდაბნოში ლერწამი, რომელიც ჩვეულებრივად ტბის და მდინარის პირას იზრდება? მაგრამ ჩვენ ამაზე აღარ ვფიქრობთ, ჩვენი წყლის მარაგი დიდი ხანია ამოწურულია; უკვე რამდენიმე დღეა, პირი აღარ დაგვიხანია, სახე და ხელები მტკიცისაგან გავიშავდა. აქ კი ლერწმებში, სადმე აუცილებლად უნდა იყოს წყარო, და ჩვენს ბოლოს და ბოლოს შევამდებთ დაეიანათ პირი და დავეწყოფოთ ცივ წყალს.

გზიდან ოდნე შეხამჩნევ ბილიზე გადაფხვებით, რომელიც ყუაჩივებითაა მოცემული. აღრე განაფხვებულზე, როდესაც მიწა ჯერ კიდევ ნოტიო იყო, ავლენდნენ თავიანთი დიდრინი ტერყვების კვლი დაფორცებით ბილიც.

მაგრამ, როგორ გავიძებდა ვაუთი, როდესაც ლერწმებთან მივდივით: ისინი სრულიად მშრალ მიწაზე იზრდებოდნენ! არსად ჩანდა წყლის კვალი!

სანამ ჩვენს უმწეო მღვამარებოზე ვფიქრობდით, ერთი ჩემი თანამგზავი ლერწმებში ღრმად შევიდა და უეცრად გაბარებულმა წამოიფიქრა:

„წყალი!“

ყველანი იქით გავრბივართ და გხედვით ქვებით საფულდაგულად ამოშენებულ ქასს, რომლის სიმაღლე ექვს მეტრს აღწევს. იქვე ახლოს, ხის ვარცლი დევს, რომელსაც ჩვეულებრივ ბილიტყვისათვის წყლის დასალევიანებლად ხმარობენ. აი თურმე რატომ იზრდება აქ ლერწამი: მცენარე წყალს მიწის ქვემო ფენიდან იღებს და, როგორც ჩანს, თავს ცუდად არ განძნობს.

მაგრამ როგორ დამკვიდრდა ამ მშრალ ნიადაგში პირველი მოსახლე, როგორ გაიზარდა ახალგაზრდა ლერწამი პაწაწინა თესლიდან? ალბათ პირველი დამკვიდრება რამდენიმე წლის წინათ მოხდა, განსაკუთრებით ტენიან გაზაფხულზე, როდესაც ახლანდელი ლერწმისაინის ადგილზე პატარა ტბა წარმოივიდა. სწორედ ამის შემდეგ ცხოვრობს აქ ლერწამი, იღებს რა წყალს მიწის სიღრმიდან.

მაღე ქაში ჩაშვებულ იქნა თოჯინე გამოზმული პატარა კარდალა. ეს არაფერი, რომ ქის კედლებზე მინდორი ბედურის რამდენიმე ბუდე აღმოჩნდა და თეთრი სკორე პირდაპირ წყალში ცვიდა. უპირველეს ყოვლისა ჩვენ ვხანაობთ ცივ წყალში და ვაუფრობილებლად ვაქცევთ მას ჩვენს გარშემო.

აქვე ქასთან გავკეთეთ სახელბაღელი თავშესაფარი და გადაწყვიტეთ პურის უკანასკნელი ნაქებრი ზეთში შევწვათ, ხლოო ხვალღან ფქვილისაგან დამაზღებულ ლავაშებზე გადავდვიარო.

მაგრამ დავასხით თუ არა ზეთი ტავაზე, მასზე მამიანე დაეცა კრაზანა, შემდეგ მერე. ისინი უწყოდ ფართობობენ და მალა არ შესწევთ დააღწიონ თავი ტუცვობას. ბედუკუღმართი კრაზანები ტავიდან ლერწმის ლერეთი ამოვყავს, მაგრამ ზემოდან ახლა სხვები ცვივან.

რა საოცრება! რატომ მოეწონათ ასე კრაზანებს მწესუმწიანი ზეთი?

კრაზანებთან ომბა დიდხანს გასტანა. ბოლოს მიხვდით მათი ასეთი უცნაური საქციელის მიზეზს: როგორც ჩანს, ზეთის პრიალა შედარირი მათ გუბედ მიჩინეს — წურთვილისაგან გაწამებულნი მისკენ ისწრაფიან და წყლის მაგარად ტავაზე ზვდებიან. ღრმა ქაში ჩასვლა მათ რასაკვირველია ვერ მოიფიქრეს!

სწორია თუ არა ჩვენი განსაზღვრა? ამის დასაბტყიებლად მიწაზე ვდებთ პატარა სარკეს და კრაზანები მაღე მისკენ მიეგანებიან.

ვინ ფიქრებდა, რომ სარკით შეიძლებოდა კრაზანების დაქვრა!

იძულებული ვიყავით ტავა დავებურა, ჩავვსხა ქასთან მდებარე ვარცლიმ წყალი და ამრბად მოგვეწყო წყალბადევი კრაზანებისათვის. მოკლე ხანში ვარცლზე უამრავმა კრაზანმა მოიყარა თავი.

ც რ უ თ ა შ ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი

სცადეთ ქვიან უდაბნოში ქვის გაღებურება. რამდენი მწერი აღმოჩნდება მის ქვეშ, რომლებიც მშის მცხუნვარებას ემსლენიან!

შის კაშკაშა სინათლით განათებული დამფრთხალი ილალები სხვადსხვა მხარეს გარბიან და მორილებივით იქნენ მარწუხისებური კუდებს; გლუ, ბრქუვიალა ცხრაფუნები ცდილობენ რაც შეიძლება ჩქარა შეიძვინენ რომელიმე პატარა სოროში; ფანდურები იმეჭრებიან დაღებულთ, ხასრი



უამრავი კრაზანა დაფრინდა წყლიან გობზე.

უბნით და მიტეხნიან ბალახებ-საკენ. არავითარ შემთხვევაში არ შეეხოთ მათ — თქვენი ხელი მის შავი მყარი სითხით დაისურება.

რუს-უბითელი, ბანგვალისი ფა-ლანგია თავისი საზრდარი შუშელი მუცლით მხოლოდ წამით შეშდება ერთ ადგილს და შემდეგ სწრაფად გარბის, თან მძივნეარედ ატაცუ-ნებს თავის შავ, კბილებით შეი-არაღებულ ყბებს.

მაგრამ ყველზე ხშირად ქვის ქვეშ მორიელი ვხვდებოდა. მორიელი პირქუში და ანჩხლია. იგი თავის ახლოს ვერავის ვერ გვობს. დღისით ღრმად ძინავს, სიბნელეში შე-ფრთხილს. ქვას რომ გადახდის, რამდენიმე წამს სინათლეზე ძი-

ნავს, შემდეგ კი მისი კული, როგორც შხამიანი ნესტარია, სწრაფად აღმართება ზემოთ და მორიელი, იქნეს რა თავის მომავლიდნებელ იარაღს, გარბის ახალი თავშესაფარის სა-ძებნელად.

რამდენადაც ცნელია დღეები და თბილია დამებები, იმდენად მიქეფარა უდაბნოს ამ მცხოვრებლების სიცოცხლე, და ამას ჩვენს თავზე ვგრძნობთ. დღე არ გაივლის ისე, რომ მორიელითა თავისი არსებობის შესახებ არ მოგავიგონო: ხან ფეხსაცმელში ჩაძვრებთან, ხან ტანსაცმელში გაიხლართება, ხან ჩაიღარა ადამიანებისა. მაგრამ, ყველაზე ხშირად ისინი საძიებელი ვაჭრის ქვეშ შეიღან და დღითი, როგორც ლამიან ვაჭრებზე, გარბის საქსახლეცო ბაჭრის ქვეშ. არც ისე სასიამოვნო მორიელებზე წოლთ საქმარისა ძილში დააწეე მას და იგი მაშინვე შხამს ვითავაზებს.

თავადარჩევად შეუპოვობი მორიელებს თოვის მასარა და ვათავებდით და იქიდან ვადგებდით სპირტის ქილაში, მაგ-რამ მათელ ქილა ვაგვის და მათი შესახანი ადგილი აღარა ვეჩონდა. მაშინ რომელიც ჩვენგანს მოუვიდა აზრი ჩავე-ტარებინა ცდები მორიელებზე.

მოქმედებდა მოედანზე ერთი მეტრის დიამეტრით. წრედ იყურა ნაკვერცხლები. ცენტრში თავსდება მორიელი. იგი მაშინვე აღმართავს თავის კუდს და იწყებს სირბილს თავ-შესაფარის საძებნელად, მაგრამ ყველგან ნაკვერცხლს აწყდებოდა. მორიელის მოძრაობა თანდათან ცხარდება, იგი კუთხიდან კუთხის აწყდება, სულ უფრო და უფრო სწრაფად იწყებს კუდს, იკაწრავს იმითი ბანს, ირტყამს მეკრულად და თავზე ბოლოს იკრუნხნება და კვდება.


მეფრე იჭიროებს, რომ მორიელი, როცა ვერ ნახულა მის წრიდან გამოსავალს, თავს იკლავს. მაგრამ ასეთ თუ არა ეს? აი, სწორად აქ იბადება ეჭვი.

ჩამდენიმე ცდის ჩატარების შემდეგ ჩვენ დავფრმუნდით, რომ მორიელის შხამიანი ნესტარი ვერ გახვრტებს მის მტვიცე ჯავშანს, იგი სხლტება ტანზე, როგორც შუბი აბჯარზე. სწორედ ამიტომაც, რომ მორიელი ერდებოდა მაგარ ჯავშანთან მწერებს თაღსსხანს და არცხე უფრო რბილ ნადავლს.

და შეუძლია თუ არა მორიელს მოიკლას თავი თავისივე შხამით, შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ თვითმკვლელობა-ზე? პირუტყვს იმდენად აქვს განვითარებული თვითდაცვის ინტექტი, რომ თვითმკვლელობა წარმოუდგენელია!

უბარეულსად ყოვლისა, საქარია დადგენა, მგერმობიარე თუ არა მორიელი შხამისადაც. ათიოდ მორიელს, დავამინეთ რა ისინი ზოორაფორმით, დავაქვრთ ნესტარია თავისი შხამიანი ჯარკვლებით, დავაძვრტოთ ისინი და ჩავდეთ წყალს სინჯარში. ამ მღვრიე თეთრი ნაყენის პატარა წვე-თიუ შეუშხაუნეთ თუ არა მრავალნაირ მწერს ისინი მაშინ-ვე მოკვდნენ.

მაგრამ როგორ შეუშხაუნეთ იგი თვით მორიელს? ამი-სათვის ჩვენ მოვიხედა პატარა დაზვის გამოკონება. მორიელს



მორიელი

ფრთხილად ვაბამთ დაგავრცელებულ ვუშხაუნებთ შხამიანი ნაკვერცხ-წვეთს. მაგრამ შხამი მასზე არ ახ-დენს არავითარ გავლენას. შეიძლე-ბა პატარა დოზაა? დოზას ვადი-დებთ. მაგრამ ხვთი მორიელის შხამიც კი ვერ კლავს ერთ მო-რიელს.

ახლა ისღა დავგარჩა შევამოწმოთ თუ როგორ მოქმედებს მორიელზე მისი საკუთარი შხამი, ვე პინცე-ტი ვითვე საცდელად მორიელის ნესტარს, ფრთხილად ვათავებ მას ტანის სახსრებს შორის მდებარე კანისებურ ნაკეცში და მაგრად ვუ-ქერ პინცეტს. ნესტარიდან მოუჩნავს შხამის გამკვირვალ წვეთი, მაგრამ მორიელი უფენელი რჩება.

შეიძლება რაიმე შეცდომა გავგეპარა. დასაბრუნებლად ჩვენ რამდენჯერმე ვიმეორებთ ამ საჯაროცო ცდას და ვრწმუნდებით, რომ მორიელი სრულიად უგრძნობია თავის საკუთარი შხამისადმი, ეს ეკვარაშუა!

ჩვენ ვამთავრებთ იმით, რითაც დავწყეთ. ვაწუთო წრედ ნაკვერცხლებს. ცენტრში ვათავებთ მორიელს, რომელიც წაქროლი აქვს შხამიანი ნესტარის ბოლო. ეს ოპერაცია სრულებით არ ვნებს მორიელს. უნესტაროდ ისინი შევნივრად ცოცხლობენ ძალიან დიდხანს. მაგრამ არ შეუძლიათ უჩხელი-ტონ ყველაზე რბილ ობობასაც კი.

მორიელი გამაღებელი გარბის წრიდან და მხეთკება ნაკვერცხლებს. მხეთკება სხვა მხარის და ისევ ნაკვერცხლებს აწყდება. გაცხარებულ მოძრაობა და კუდის ქენვა ხშირდებ-ბა. კიდევ რამდენიმე ნახტობი — და მორიელი კვდება.

ახე ავხლავ ჩვენ ვერგვინს ლეგენდას, მორიელის თვით-მკვლელობის შესახებ, რომლისაც საუკუნეების განმავლობა-ში ვგრძობდ ადამიანს, თუმცა მორიელი კვდება სითხის დარტყმისა და დამწვრობისაგან.

მ გ რ უ მ ვ რ ი მ მ ო ბ ლ ე ბ ი

აპანაქება. პავრ არ იძვრის. ტელეგრაფის ბოძების ჩრდილოდ მორიელზე ტორალებს ფრთები ჩამოუყრიათ. კოსტა ვერტიკალი ჩუმად ჩამოსხდარან ტელეგრაფის მავ-თულზეზე.

ვაყვითლებული უდაბნო თითქოს ჩამკვდარა მზის მცხუნ-ვარე ხივებში.

განაზე უეცრად მტრის დრუბელი ავარდა. იგი სწრაფად იზრდებოდა ახლოვდება. მცხუნვარე ქარმა დაუქროლა და აუკვლავით ცხელ მტვერში იძირება. პორიონული თითქოს აპოლდია.

ახეთ ამინდში ძნელია მწერებზე დავკარევა. მტერი თვა-ლებს ავსებს და ყველა ცოცხალ არსება ცდილობს თავი შეაფაროს მუდგრო ადგილს. ამიტომ, დრო ტუთულად რომ არ დავკარევა, ჩვენ აუშალით ბნაკვი და განვარძობთ გზას. მტერის კვამლში ხანგამოშვებით ყოვლს და ტუნარის მწვა-ნე მცენარეებს ვხედავთ. იქნებ ეს მდინარე კი არა მოპოვია. უდაბნოში ხომ ყოველწუთს ცბა გინჯნება, მაგრამ რუქაზე ვხედავთ, რომ სილდაც გზის ახლოს სირ-დარია გადის. ჩვენ გადავუხვით გზიდან და ყამიით მწვანე ზოლისაქენ გავს-წიეთ.

მაღ დავრწმუნდით, რომ ეს მართლაც სირ-დარია. იგი წაბლისებურ ტალღებს მოვარგებს. მაგრამ, მოუხვლად ქა-რისა, აქ პავრ მინც ლეგენდა. მდინარიდან საამოდ უბე-რავს. მდინარის მეორე ნაპირიდან ხობბების ყოვლი იხიბს. ჩვენს მანარე კი ჯინგილის და ტამარისის განხვლულ ბურ-ქებს შორის მიწა აქლემის კელთაა დავარულო. მისი მახვი-ლი ცქლები ატანენ ტანსაცმელში და სასტიკად იფხაპენიანს.

პირქუსად შეგვხვდა სირ-დარია, რომლისკენაც ასე მოვიხწროვართი ვადაბუფულ უღანოდან!

ალვა-ალვა ჟღერის ცელების შორის მიწა უმარავი, პატარა ხერხეულითა დახერხებული. ხერხელებში რაღაც მექიფერისა მოჩანს.

ვინ ცხოვრობს ამ სოროვში? ხერხელში ვიხილავ ჩვეულებრივ და სოროვად რაღაც მორწყვას გამოჩნდა, რომელიც კბილბობით შემოსულია და პირს ვაგს. ვიხილავ იმდენად, იგი ვერ ძრავს ადგილიდან ამ საცობს.

ვინც მგონავ ხერხელშიც ასეთივე კბილბობიან პირს აწყვდება. ძალზე საინტერესოა! იქნებ ეს მართლაც რომელიმე ცხოველის პირია. ტროპიკულ ქვეყნებში მცხოვრებ თერმობთა შორის ვახვლებიან ისეთებშიც რომლებიც გრძელცხვირა თავებით ხურავენ სოროს და იცავენ მას მტრისაგან.

